გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზა–გზა ლვა და გულთა ამასა უბნობდა:

– აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი: მით თორმეტს ქათმის სამამლე წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ–ორ მარჩილად დავყიდი.

მერმე მით სახარე ხბორვბს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები.

და ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასასყიდლად წამოიღო.

ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან: აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო. შესძახა: ჰარიო!

დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

– შენც შენის გონებით ბევრს რასმე ზრახავ და გამდიდრდები, მაგრამ ასეთი რამ გაგიზრახავს, რომე ღვთის ძალით შენს თავსაც მოჰშლი, არამც თუ განზრახული გაათაო.

უთხრა რუქამ პასუხად არაკი: